ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРՆԱՐԵԲՈ ԱՅԵԼԱ ԱՀԵՎԱՆԻՍԱ, ՄՏԵՐԹԵՑԵՔ!

СССР

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 96 (20137) კვირა, 24 აპრილი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია 1988 წლის 24 მაისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 22 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის განსახილველად გათვალისწინებული აქვთ შეიტანონ შემდეგი საკითხები:

1. კოოპერაციის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
2. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამის მესრულების უზრუნველყოფისათვის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა.
3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის ანგარიში.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციასთან დაკავშირებით

ძვირფასო ამხანაგებო!

სამი წელი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ცხოვრების ახალ ეტაპს, გამოცხადდა გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივი განახლების კურსი, გახდა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველი.

აპრილის პლენუმის შემოქმედებითი სულისკვეთებით, იდეებითა და პულსი"არის გამსჭვალული პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტთა, მშრომელთა ცხოვრება და საქმიანობა. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ — რაც უფრო ფართოდება რევოლუციური ცვლილებები, მით უფრო ნათლად გვესმის, რომ ეს არის განვითარების ობიექტურად საჭირო პროცესი, რომელთანაც მიგვიყვანა იმ ყველაზე გადაუდებელი პრობლემების გადაჭრისადმი მიხწრაფებამ, რომლებიც გამოიწვია წინა პერიოდის უძრაობამ.

აი რატომ აღიქვეს საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა, მშრომელებმა გულითა და გონებით პარტიის მიერ გამოცხადებული გარდაქმნის იდეები. მისი პრინციპები, სიტყვითა და საქმით უმერენ მხარს ახალი წყობილების ლენინური სახის აღორძინებას, ყოველივე იმისაგან მისი განთავისუფლების პროცესებს, რაც გვაბოკავდა, საშუალებას არ გვაძლევდა სრულად ჭეშმაგვეყენებინა სოციალიზმის პოტენციალი.

ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილმა სამმა წელმა ბევრი რამ მოიტანა. პარტიის XXVII ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე შემუშავებულია გარდაქმნის კონცეფცია. სტრატეგია და ტაქტიკა, ზუსტად არის განსაზღვრული მისი რევოლუციური პრინციპები: მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი. საზოგადოებაში მკვიდრდება საჭაროობა, გაჯანდაცვა, კონსტრუქციული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხდება მტკიცე შემობრუნება დემოკრატიისაკენ, უზომიერად შეუძლებელი იქნებოდა ის რეალური ძვრები, რომლებიც უკვე შეინიშნება მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. შეინიშნებულია მრავალი ნეგატიური მოვლენა, სოციალიზმი უსამართლობა, ყველაზე ბერანი ანგარიში აქვთ წაყენებული იმათ, ვინც ცხოვრობდა უშრომელად, უსინდისოდ, ვინც შეეჩვია დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

ყველას შესანიშნავად გვესმის, რომ ახალი ვერ დამკვიდრდება შეტაკებების, ბრძოლის, მწვავე დისკუსიების გარეშე. აზრებსა და მოქმედებაში ძველისადან, შაბლონებისა და სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. მაგრამ უამისოდ არ შეიძლება, უბრალოდ შეუძლებელია წინსვლა. საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის გზაზე უნდა გადავჭრათ ჯერ კიდევ მრავალი ძნელი პრობლემა — თეორიული იქნება ეს თუ პრაქტიკული.

აი რატომ არის დღეს ასე საჭირო გარდაქმნის პირობებში ცხოვრებისა და მუშაობის სამი წლის შედეგების, იმ მიჯნების კრიტიკული, კონსტრუქციული, პრინციპული ანალიზი, რომელსაც მიაღწიეს და აღწევენ ჩვენი ქპკა და საზოგადოება, რომლებმაც გაშალეს დემოკრატიზაციის პროცესი, დაიწყეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა სრულყოფილ პოლიტიკური სისტემა, მივაღწიოთ იმას, რომ იგი მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს გარდაქმნის ამოცანებს, კიდევ უფრო აქტიურად ემსახურებოდეს სოციალიზმის საქმეს. უნდა გამოვძებნოთ გზები, რათა ობიექტურად განვსაზღვროთ ეკონომიკური რეფორმა, პარტიის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, საჭაროობის გაფართოებას, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებას, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ფართო ფუნქციებს, ამ პროცესებში ფართო მასების ჩაბმას.

სწორედ ყველა ამ საკითხს განიხილავს XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია. მისი მუშაობის დაწყებამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა. ეს დიდი მოვლენაა პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. კონფერენციაზე შემუშავებული გადაწყვეტილებანი, უთუოდ, მძლავრ იმპულსს მისცემს განახლების პროცესს.

მაგრამ ამისათვის ფრიად საჭიროა, რომ თითოეული პარტიული ორგანიზაციის დელეგატებმა კონფერენციაზე მოიტანონ თავიანთი კონკრეტული წინადადებანი, თავიანთი გამოცდილება, ნოვატორული იდეები.

აპრილისშემდგომი სამი წელი მეტად შინაარსიანი იყო საქართველოს პარტორგანიზაციისათვის. დადგა დრო ყველამ ერთად, ერთობლივად — კომუნისტებმა და უპარტიოებმა, ახალგაზრდობამ და ვეტერანებმა, წარმოების მუშებმა და მეთაურებმა, ბელმძღვანელებმა ვიფიქროთ იმაზე, კონკრეტულად რით უნდა შეეგიბოს ჩვენი პარტორგანიზაცია კონფერენციას, რა კონსტრუქციული წვლილის შეტანა შეუძლია მის წარმატებულ მუშაობაში.

წარმოიდგინეთ, რომ სწორედ თქვენ ხართ არჩეული ქვეყნის კომუნისტთა ამ წარმომადგენლობითი ფორუმის დელეგატად, რომ სწორედ თქვენ მოგანდეს მაღალი ტრიბუნიდან გამოსვლა.

მე რომ დელეგატი ვიყო, რას ვეტყოდი თანამპარტიელ ამხანაგებს? რა აზრებს გავუზიარებდი? რა ნაკლოვანებებს მივაპრალებდი განსაკუთრებულ ყურადღებას? რა მეთოდებს, გზებსა და ფორმებს შევთავაზებდი ჩვენი წინსვლის დასაჩქარებლად?

ამრიგად, „**მე რომ დელეგატი ვიყო...**“ ამ დევიზით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დასახული აქვს მათ-იენისში მოაწყოს საერთო-რესპუბლიკური ღია პარტიული კრება და ზედმიწევნით ყურადღებით განიხილოს საკითხები, რომლებიც შეტანილია XIX საკავშირო პარტკონფერენციის დღის წესრიგში.

ამ პრობლემათა წრე მკაფიოდ არის მოხაზული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ბიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში: საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაცია, რადიკალური **ეკონომიკური რეფორმის** რეალიზაცია, ჩვენი **პოლიტიკური სისტემის** სრულყოფა და ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე **პარტიის, როგორც პოლიტიკური აპარატის როლი.**

სწორედ კოლექტიური განხილვა, დარწმუნებული ვართ, შეუხამებს ჩვენი დროის სულისკვეთებას, პოვებს საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელის გამოხმაურებას, წერილები, რომლებსაც ამ დღეებში იღებენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშვილური ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, შეიცავენ პარტიის კურსის ერთსულოვან მხარდაჭერასა და მოწონებას. გამეფულ, საქმიან, პასუხისმგებლობიერ წინადადებებს, რომლებიც შვა ახალბურად მუშაობის პირველმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ.

ჩვენ ამის მომხრე ვართ, რომ თითოეულ მჭიდროს შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი თვალსაზრისი, შეიტანოს წინადადებანი, თუ ისინი მიზნად ისახავენ გარდაქმნის დაჩქარებას სოციალიზმის ფარგლებში და არა მის გარეთ. აზრთა უველა ელფერის მიუხედავად დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა შემოქმედებითი ძალების ერთიანობა, ფიქრი, კამათი, დისკუსია, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო საქმის წინ წაწევას, კონსოლიდაციას, გარდაქმნის გარშემო დარაზმვას და არა გათიშვას.

საუბარი რესპუბლიკურ ღია პარტიულ კრებაზე ხელს შეუწყობს იმას, რომ დავამკვიდროთ ეს პოზიცია ყველაზე დემოკრატიული გზით — გულახდილი, საჭარო, პატიოსანი განხილვით.

ყველა გაზეთისა და ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი ელიან თქვენგან, ძვირფასო ამხანაგებო, წერილებს, წინადადებებს, შენიშვნებს, რომლებიც გამოქვეყნდება რუბრიკაში „**მე რომ დელეგატი ვიყო...**“

გარდაქმნა თითოეული კომუნისტის საქმეა, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალია. მაშ მტკიცედ და გულწრფელად შეეახლოთ მისი რევოლუციური პრინციპები — მეტი საჭაროობა, მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჯ. შულცს

სურათზე: შეხვედრის დროს. საკადრ.-საქინფორმის. ტელეფოტო.

22 აპრილს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი. მთავარი თემა იყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი შეთხვევა უმაღლესი დონის შეხვედრა — როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი და რა ატმოსფერო საჭირო მისი წარმატებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვი საუბრის დაწყებისას დაეთანხმა სახელმწიფო მდივნის შენიშვნას, რომ საჭიროა არა მარტო იმის მოსმენა, რასაც სტუმრად მყოფი ადამიანები ამბობენ, არამედ იმისაც, რასაც ისინი შინ ამბობენ. ამ თვალსაზრისით საბჭოთა კავშირში არ შეიძლებოდა უყურადღება არ მიეპყროთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უკანასკნელი საჯარო გამოსვლებისათვის. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ დაეუშვით გაზვიადება, როცა პოზიტიურად შეეფასებთ ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარება. ასეთ შეფასებას საფუძვლად უდევს, როგორც ჩვენ გვეგონა, ის, რომ ორივე მხარემ დაიწყო ერთმანეთისადმი უფრო რეალისტური მიდგომა, სტერეოტიპების ტყვეობისაგან თავის დაღწევა, იმ ცდებისაგან გათავისუფლება, როცა თავს აბეზეურ საკუთარ შეხედულებებს, ამასთან ხელმძღვანელობენ მხოლოდ თავიანთი ინტერესებით.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რაც ითქვა და რაც გაკეთდა ამას წინათ ვაშინგტონში, ჩვენ ისევ გვიქიდაგებენ, გვარიგებენ, თუ როგორ მოვიქცეთ. ჩვენს საგარეო პოლიტიკას აფასებენ მხოლოდ ნეგატიურად, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოლიტიკას კი მხოლოდ პოზიტიურად, ამასთან ყველაფერს, რაც მიიწევენა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, მიიწერენ ძალისმიერ პოლიტიკას და „საბჭოეთზე ზემოქმედებას“. „ძალისმიერი კონტეიგენა“ მტკიცდება, სხვათაშორის, ნიკარაგუის, პანამის მიმართ, სპარსეთის ყურეში ძალის დემონსტრაციითაც.

ეს გამოსვლები კვლავ ადასტურებს, რომ არ სურთ ანგარიში გაიწიონ, პოლიტიკურ რეალობებს, უგულებელყოფენ სხვების ინტერესებს, ინტერესების ბალანსის პრინციპს.

ისმება კითხვა: რით უნდა აიხსნას ეს, რა ხდება? ჩვენ გვესმის: მიმდინარეობს წინა საარჩევნო კამპანია. არის ძველი იდეოლოგიური მიდრეკილებანი. მაგრამ ხომ არის პასუხისმგებლობაც მსოფლიოს წინაშე.

ჩვენთვის, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, რეალობაა, რომ ყოველი ადამიანურობა დაიცავს თავისი ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ ისინი, ცხადია, უნდა ასახავდნენ ხალხის ნებას. ჩვენ უყურადღებით ვადევნებთ თვალს ამერიკის საზოგადოებრიობის გაწყვიტილებას, და ემაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ როგორც საბჭოთა ადამიანები, ისე ამერიკელებიც გულწრფელად მიესალმებიან ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესების ნიშნებს. თურმე, ამერიკაში მრავალ ადამიანს, რომელიც მომავალს შეაცქერის, არათუ არ სურს დარჩეს კონფრონტაციაა, არამედ მათთვის მიუღებელია სიტყვა „პეტოკქეობაც“ კი. უმრავლესობა მეგობრული ურთიერთობის მოიბრეა.

მაგ, ვის ინტერესებს გამოხატავენ ოფიციალური გამოსვლები, რომლებიც განგარიშებულია სსრ კავშირის პრიმციპულ დამოებებზე და არსებითად ამორლებენ გამოვლებულ შეიარაღებას? ეს ხომ არ ეწევიან დამუხრუჭებას, რომლის ნიშნებს ზოგჯერ ვამჩნევთ მიმდინარე მოლაპარაკების, მათ შორის მოსკოვში რ. რეიგანის ვიზიტთან დაკავშირებული მოლაპარაკების დროს?

და ნუთუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში 15 წლის შემდეგ და საბჭოთა კავშირის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან უკვე სამი შეხვედრის შემდეგ იმით ამოიწურება, რომ ისევ დავიწყოთ „პოლტავლინგზე“ საუბარი — ახსნა-განმარტება იმ არსებულ რეალობათა გამო, რომლებსაც სამნია ანგარიში არ გაუწიოთ.

დღეს, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, ვიწერო პრაგმატიზმი უარესობისაკენ მოქმედებს. იგი ბოქავს აზროვნებას, ხელს უშლის თანამედროვე მსოფლიოს ფართო ხედვას, იმის შეგნებას, რომ თითოეული ხალხის მიერ თავისუფალი არჩევანის პატივისცემის გარეშე კაცობრიობას არა აქვს მომავალი. უამისოდ კი კოგნიტიური პრობლემათა გადაჭრა ყოველთვის ჩიხში მოექცევა. უამისოდ არ იქნება სრულფასოვანი ურთიერთმოქმედება ისეთ სახელმწიფოთა შორის, როგორიცაა სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. ეი რა-ტომ ვიმეორებთ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას სჭირდება ძირეული გარდაქმნა. და დროა განვთავისუფლდეთ ცდომილებისაგან, თითქოს ჩვენ ამას მოვთხოვთ „სისუსტის გამო“: აქეთ და ახლანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის მდგომარეობა მერყეევია, იგი დაინტერესებულია როგორც საგარეოპოლიტიკური წარმატებით, და სწორედ ამიტომ სურს „დაიყოლიოს“ ამერიკელები თანამშრომლობაზეო. ასეთ სისულელეზე რეალურ პოლიტიკას ვერ ააგებ. შეიძლება მხოლოდ ხელიდან გაუშვა შანსი, რომელიც დრომ მოგვცა მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად.

ამ კონტექსტით, შეეხნენ ადამიანის უფლებათა თემას. აქ ბოლოს და ბოლოს უნდა შევთანხმდეთ პრინციპულად, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება და სხვა კონტაქტები ამ თემაზე ბოლო დროს საქმიან ხასიათს იძენს, მისდამი მიდგომა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ კვლავ კონფრონტაციულია, ორიენტირებულია ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევაზე: ნიადაგ გვიყენებენ მოთხოვნებს, პირობებს, პრეტენზიებს.

ჩვენ აქამდე თავს ვიკავებდით. მაგრამ თუ იმავეთი ეუპასუხებთ — ჩვენ კი გვაქვს მოთხოვნები მეტად ფართო წრის საკითხებზე, — შეიძლება წარმოიშვას ისეთი ატმოსფერი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, როცა ვეღარ შევძლებთ ვერავითარი სხვა საკითხების გადაწყვეტას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ საბჭოთა და ამერიკის საზოგადოებებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებანი, და არ ვეცადოთ თავს მოვახვიოთ ერთმანეთს ჩვენი წესები და ჩვენი წარმოდგენები იმაზე, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი. თითოეულ ქვეყანას აქვს მრავალი თავიანი პრობლემა, და თვითოეულმა მხარემ თავისებურად გადაჭრას ისინი. ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ურთიერთშესწავლას, ბაკეალს კულტურის, მეცნიერების ხაზით და ა. შ. დაე ადამიანებმა თვითონ დაინახონ და ყველაფერი შეაფასონ. ჩვენ არ ვაპირებთ ხელაღლა ვასწავლოთ. რაიმე შეერთებულ შტატებს და არც მას აქვს უფლება ხელახლა გვასწავლოს ჩვენ.

საუბრის დროს შეეხნენ რეგიონალურ, მათ შორის ირან-ერაყის ომთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მაღალი შეფასება მიეცა ავღანეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებებს. ისმის მიხედვით, თუ როგორ იმოქმედებენ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთის მდგომარეობის მოწესრიგების პროცესში, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, მთელი მსოფლიო იმყოფება, თუ რად ღირს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა როგორც საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების ფაქტორი. ძალზე სამნია, თუ ეს თუ ის მხარე აქცევს ცოცხებს ემოქმედოს იმ პრინციპის საწინააღმდეგოდ, რომ ავღანეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნეიტრალური, მიუმხრობელი სახელმწიფო.

განიხილეს ძირითადი საკითხები, რომლებიც შეიძლება გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოსკოვის მომავალი შეხვედრის საგანი. აღინიშნა, რომ ე. ა. შევარდნაძისა და ჯ. შულცის შეხვედრების დროს და ევენეთაში დელეგაციათა მოლაპარაკებაზე დიდი მუშაობაა გაწეული. მაგრამ პრობლემები რჩება. ჩვენ, დაადასტურა მ. ს. გორბაჩოვმა, კვლავინდებურად იმის მომხრე ვართ, რომ შესაძლო დოკუმენტებმა. მომზადება დაეამთავროთ მოსკოვში პრეზიდენტ რეიგანის ჩამოსვლისათვის.

თანამშრომლები ერთმანეთს დაეთანხმნენ, რომ არ შეიძლება შემოიფარგლონ ითქვა, რაც უკვე მიღწეულია ვაშინგტონში. შესაძლო და საჭიროა უმაღლესი დონის მეოთხე შეხვედრის არსებითი შედეგები.

ძირითადად მიიღეს მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის პროგრამა.

დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა სტუმარს, გადაესვა პრეზიდენტს — მოსკოვში იმედი აქვთ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა ჩაიერის ურთიერთაბეგავსაცვლის სულისკვეთებით და რეალისტურ საფუძველზე, გახდება ახალი წინგადადგმული ნაბიჯი და აღინიშნება კონკრეტული და დიდი შედეგებით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კვ ისე მიიღებენ, როგორც ორი დიდი ხალხის ურთიერთობის ეკადრება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. დობრინინი, ს. ფ. ახრომეევი, ა. ა. ბესმერტნიხი, კ. პაუელი, რ. რიჯეი, პ. ნიტცე, ელენი ი. ვ. დუბინინი და ჯ. მეტლაკი.

(საკადრსი).

ჯ. შულცი თბილისში ჩამოვიდა

სურათზე: ამერიკის შეერთებული შტატების, სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ჩამოსვლა თბილისში. საკინფორმის. ფოტო.

23 აპრილს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ამერიკის 'ურთიერთობისა 'და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხთა 'განხილვის განსაკრძობად.

მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ-კავშირში ჯეკ ფ. მეტლოკი, სხვა ოფიციალური პირნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. ბესმერტნიხი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ-შტატებში ი. ვ. დუბინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ახლავან სტუმარს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროპორტში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და მის მეუღლეს დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე მეუღლითურთ. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ფ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე რ. ა. გოგოლიძე, სხვა ოფიციალური პირნი. (საკინფორმი).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

23 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ე. ჩერკეზიასა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის საუბარი.

ო. ე. ჩერკეზიამ სტუმარს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკაში, კულტურასა და მეცნიერებაში მოპოვებული წარმატებანი, — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. განსაკუთრებული ადგილი ეკავა საუბარს იმ მუშაობის შესახებ, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს ცხოვრების ყველა სფეროში განახლებისა და გარდაქმნისათვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მ. ს. გორბაჩოვისა და პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების დადებას, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია უბრძოო მსოფლიოს გზაზე. დიდი იმედით მოველით მომდინარე წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტს მოსკოვში და მის მოლაპარაკებას საბჭოთა ხელმძღვანელთან ბირთვული შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ. ეს იქნება ახალი რეალური ნაბიჯი მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების გაძლიერების, ორი დიდი სახელმწიფოს სახეზერო კონფრონტაციის დონის შემცირების გზაზე.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა ადრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონტაქტების გაფართოების მნიშვნელობა, რაც საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ურთიერთგაგების შემდგომი გაღრმავებისა და დაახლოების გარანტიაა.

ჯ. შულცმა მადლობა გადაიხადა ყულთბილი მასპინძლობისათვის, გამოთქვა რწმენა, რომ მისი ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, მოგზაურობა ქვეყანაში ხელს შეუწყობს საერთაშორისო კლიმატის შემდგომი დათბობის საქმეს.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. ბესმერტნიხი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ფ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე რ. ა. გოგოლიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს ჯ. შულცი და მისი მეუღლე დაესწრნენ საქართველოს ხელოვნების ისტორიათა ეროვნული მუზეუმის ფილიალ-ბილის სახელობის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში. სტუმართან ერთად კონცერტზე იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერკეზია, სხვა ოფიციალური პირები.

საღამოს საქართველოს სსრ მთავრობამ ვახშამი გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის.

(საკინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

რესპუბლიკური ჯილდო ქარხანას

შარშანდელ ორ საკავშირო გარდამავალ დროშას წელს რესპუბლიკური დროშა მიემატება მეტანეური ქარხნის კოლექტივმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კოშენლურ მანქანათმშენებლობის სამინისტროს წნორის მექანიკური ქარხნის კოლექტივს.

შარშან მთელ წელიწადს და წლიულს პირველ კვარტალში ყველა შრომელის ენერგიული და საზრიანი შრომის შედეგად დიდი ჯილდო დავიმსახურეთ, — თქვა ქარხნის დირექტორმა გ. ჯანაშვილმა, — ჯილდოს მიღებით აღფრთოვანებულ ბულინ მშრომელები საპირველმისო სოციალისტურ შეჯიბრებაშიც წარმატებას აღწევენ. გასულ სამთვეზანხეკვარში ოთხი თვის დავალება შესრულდა.

ქარხანამ წლევანდელი პირველი კვარტალის მოგების გეგმა დიდი გადაჭრებით გაანაღდა, ნაცვლად 156 ათასი მანეთისა 198 ათასი მანეთი მოგება მიიღო. რენტაბელობისა და შრომის ნაყოფიერების დავალებაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დიდი გადაჭრებით არის შესრულებული. პირველი მაისისათვის ოთხთვეანხეკვარ ი ს გეგმის შესრულება ივალდებული ქარხანამ.

▼ ▼

სეტყვა თელავსა და გურჯაანში

ნასალთუთარა ვაზმა ეს-ესანი ყლორტები გაშალა. მაღე ყვავილობაც დაიწყება. ამ დროს რა გულდასაწყვეტია, ნაჯაფი ვენახი სეტყვამ დაზიანოს. ასეც მოხდა: 22 აპრილს 22 საათზე მოსულმა ძლიერმა სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა თელავისა და გურჯაანის საზოგადოებრივი მეურნეობებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ზვრებს.

როგორც პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ლეკიშვილმა გვითხრა, სეტყვამ 290 ჰექტარი ვენახი დააზიანა. სოფლებში აკურახა და ვანაკაში 5-დან 10 პროცენტამდე დაინტეკვა 80 ჰექტარი, 10-15 პროცენტით — 110 ჰექტარი, 25-30 პროცენტით — 53 ჰექტარი, ხოლო 45-50 პროცენტით 47 ჰექტარი ვენახი. ზარალი წინასწარი გამოანგარიშებით 415 ტონა აუარეზია. ეს კი 230 ათას მანეთს აღწევს.

სეტყვამ განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა აკურის კოლმეურნეობას. წინასწარი გამოანგარიშებით აკურელმა მევენახეებმა 200 ათას მანეთზე მეტი იზარალეს.

სეტყვამ არც გურჯაანელები დაინდო. ნავალალო სანანდაია ველისციხის, კალაურის, შაშიანის, შრომის, ვაზისუბნის და მუყუზნის ზვრები. სტეკიას ვერ გადაურჩა 1500 ჰექტარი ვენახი. უველაზე მეტად ვაზისუბნელთა 250 ჰექტარი ვენახი დაზიანდა. აქედან 80 პროცენტი თითქმის განადგურდა. ანალოგიური მდგომარეობაა შაშიანშიც. აკაური 70 ჰექტარი ვაზი 80 პროცენტით დაზიანდა.

შრომითი მეცოქეობა წინსვლის მძლავრი ფაქტორია

22 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა ჩვენს რესპუბლიკაში მყოფ წარჩინებულ მოსკოველ მშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს ვ. ა. ზატკოვრონიცას.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაიმართა გულთბილი, საქმიანი სა-ბაესი რესპუბლიკაში და მთლიანად ქვეყანაში საშენებელო კომპლექსის სრულიფო

ნისლი გადაიწმინდა

საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე

თევდორე ზღვისი

ერთხელ თანამედროვეობის ისტორიას, იგივეა ხატო პეიზაჟი ნისლივან ამინდში". ინგლისელი ისტორიკოსის ამ მახვილგონიერულ შედარებაში არის ჭეშმარიტების ელემენტი. ისტორია რთული, ბრავალწახნაგოვანი, კომპლექსური მეცნიერებაა. ისტორიულ მოვლენათა აღქმის, მის ყოველმხრივ ანალიზის სჭირდება სამზერი მანძილი, დიისტანცია. თანამედროვეობის ისტორია, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი დარგი, ჩვეულებრივ, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სამსახურშია ყველგან. იგი თავისი შინაარსით ფილოლოგია. ამ ფენომენ დიდი ანია კანონზომიერული აღიარება ოვა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, ჩვენში კი რატომღაც გაურბიან თანამედროვეობის ისტორიას შარჭყან მისი შინაარსის ამსახველი ეს სახელი.

საბჭოური ეპოქის ისტორიაზე ქართველ მეცნიერთა მიერ მრავალი ღირსშესანიშნავი გამოკვლევაა შექმნილი და უმადურება იქნებოდა მათი დამსახურების უგულებელყოფდა. ისინი ამ ისტორიას მართლაც „ნისლივან ამინდში" წერდნენ და მოვლენათა უშუალო ფეოდმოწმე

24 აპრილი ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღეა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

● ერთი საერთო მიზანი აქვს მსოფლიოს პროგრესულ ახალგაზრდობას — „ისწავლონ, იზრომონ, იღვაწონ ქვეყნად მშვიდობისა და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

თბილისში ტრადიციულად სხვადასხვა ქვეყნის ბევრი ახალგაზრდა სწავლობს, მათ ერთი მისწრაფება აერთიანებთ: დაეუფლონ ცოდნას, შეინარჩუნონ და კეთილი განავითარონ კონტაქტები.

ჯ. ლომაძის ფოტო.

გამოფენა კაიდელბერგში

26 აპრილიდან 6 მაისამდე გერმანიის ფედერაციაში რესპუბლიკის ქალაქ ჰაიდელბერგში გაიმართება ქართველ მხატვართა ნამუშევრების ბანფენა. ამ გამოფენის ინიციატორები არიან საქართველოს ეუბნოფის მცხოვრები თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოება და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექვსი მხატვრისა: კონსტანტინე მახარაძის, მამია ახობაძის, ომარ კაჭკაჭიშვილის, ოთარ სულავას, მიხეილ ხვიტისა და ჯემალ გვიმრაძის 65 ფერწერული ნამუშევარი.

გამოფენის დღეებში წაიკითხავენ მოხსენებებს საქართველოს ისტორიაზე, საქართველოს კულტურასა და ხელოვნებაზე.

▼▼

რუსთაველის საზოგადოების ფონდში

ტორიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აქტიურად გამოიხმაურა რუსთაველის საზოგადოების შექმნას. აქ დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია.

რუსთაველის საზოგადოების ანგარიშზე საბჭომ გადარიცხა 25 ათასი მანეთი, თბილისის ტურბაზა „დიოიმმა“ 6.000 მანეთი. ამ პატრიოტულ საქმეს გულისყურით ეკიდებიან სისტემის სხვა ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებიც.

პოეტი იტყვის სათქმელს

მაკითხველთან დაახლოებას, გულისთქმის ხმამაღლა გამოთქმას დიდად უწყობს ხელს მწერლების შემოქმედებითი საღამოები. ასეთი საღამოებზე მუდამ მიეუხარიათ ჩვენს მშრომელებს, მოსწავლეებ და მუშა ახალგაზრდობას, ინტელიგენციას.



ხვალ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისელები შეხვდებიან გამოჩენილ ქართველ პოეტს, რესპუბლიკის ეროვნულ ლიტერატურულ ჯანსუღ ჩარქვიანს, მოიმღერენ მის ახალ ლექსებს, ჩვეულებისამებრ გაიმართება პოეტისა და მკითხველთა დიალოგი, რაც შემოქმედებ მეტ საშუალებას მისცემს კიდევ უფრო გულღიად თქვას თავისი სათქმელი.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკლისის, საქონფორმისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

დაძმობილებული ქალაქები

მეგობრობის „ვერცხლის ქორწილი“

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ამრელის ბოლო კვირას აღინიშნება დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო დღე. წლევანდელი მსოფლიო დღე ადამიანებისა და ქალაქების დიდი მეგობრობის პატარა იუბილეა, რომელიც, პოლიტიკური შინაგულებებისა და სახელმწიფო სისტემების სხვაობის მიუხედავად, მტკიცდება და ვითარდება.

იმის შესახებ, თუ როგორი წელილი შეაქვს ამ საქმეში საქართველოს, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება თბილისის საქალაქო სახლის აღსაკმის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე ჯ. ვაჩიეშვილი.

— რესპუბლიკის ქალაქების დაძმობილების „პირველშეკვრა“ გახდა მისი დედაქალაქი — თქვა მან. — 60-იან წლებში თბილისისა და საარბრიუკენის თეატრალური კოლექტივების შორის კულტურული თანამშრომლობა დამყარდა. იგი მეგობრობაში გადაიზარდა და 1975 წელს ქალაქები ოფიციალურად დაძმობილდნენ. მას შემდეგ რესპუბლიკის დედაქალაქს გაუჩნდა კიდევ სამი „ახალი ნათესავი“ — ავსტრიის ქალაქი ინსბრუკი, იტალიის — პალერმო და საფრანგეთის — ნანტი. დაძმობილებულთა ოჯახს სხვებიც შეემატებიან: თბილისის საზოგადოებრიობის დელეგაცია ამჟამად იტალიაშია, შეერთვებიან შტატების ჯორჯიის შტატი, ალაბამა და ატლანტის პარტნიორული ურთიერთობის შესახებ.

სოხუმი დაემეგობრდა პეუნტა-პიტერს (საფრანგეთის გვადელუპა) და კილმარნაკს (შოტლანდია), ქუთაისი — საბერძნეთის ნიკეას, რუსთავი — შვეიცარის კირუნს და სხვა ქალაქებს.

— თბილისი დაძმობილებულ ქალაქთა მსოფლიო ფედერაციის აქტიური წევრია. რაზე მეტყველებს ეს?

— ეუნარეს ყოველისა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტნიორული ურთიერთობის მაღალ შეფასებაზე. თბილისისა და საარბრიუკენის პარტნიორობა ხომ მისაბაძი მაგალითია. ეს არაერთგზის აღნიშნულა როგორც სსრ კავშირში, ისე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საქართველოს დედაქალაქისა და საარის მხარის კონტაქტები არ შეწყვეტილა ომ ქალაქების დღეებით, ეს ურთიერთობა შეეხო მეცნიერებს, ტურიზმს, ახალგაზრდულ გაცვლას სხვადასხვა დარგს. თბილისელები და საარელები მეგობრობენ ოჯახებით, ერთმანეთთან სტუმრად დადიან. მეგობრობენ ბავშვებიც. გადაწყდა, რომ ჩვენი შვილები იცხოვრებენ თანაცხოვრებენ ოჯახებში, მათი გერმანელი თანატოლები კი ჩვენს მოსწავლეებთან.

კარგი ურთიერთობა დამყარდა ინსბრუკელებთანაც. ამას წინათ ჩვენთან იყვნენ ახალგაზრდა სპორტსმენები ავსტრიიდან, დაძმობილებულ ქალაქში ჩავიდნენ თბილისელი მოსწავლეები.

თბილისს არ ჩამორჩებიან რუსთავი და ქუთაისი. ამას წინათ საბერძნეთიდან დაბრუნდა ქუთაისის საზოგადოებრიობის დელეგაცია. დაძმობილებული ქალაქის წარმომადგენლებმა დასახეს მომავალი ამბავლობის გეგმა, რომელიც თვალისწინებს კულტურული და სამეცნიერო გაცვლის განვითარებას, ნიკეასა და ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა მეშაობის გაცნობას.

— დაძმობილების ტრადიცია უკვე ოცი წლისაა. შესაძლებელია თუ არა ამ ხნის განმავლობაში ცვლილებები საბჭოთა ადამიანებისა და მათი საზღვარგარეთელი პარტნიორების ურთიერთობაში?

— უთუოდ. ისინი ხომ უკვე პირადად გვიცნობენ, ხშირად ჩამოდიან და ამტორ საკუთარი აზრი აქვთ საბჭოთა ადამიანებზე. ასეთმა კონტაქტებმა დაამსხვრევა ჩვეული წარმოდგენა საბჭოთა ადამიანზე. ჩვენც და ისინიც უწინარეს ყოვლისა ვეხებოდით ეთიოლგაწყობილებას ერთმანეთის მიმართ, საერთო საზრუნავს, რომელთაგან მთავარია მშვიდობის შენარჩუნება დედამიწაზე. ეს ყველაზე მეტად ბავშვებს.

ინფორმაციული მოთხრობა

სინდისის აპარატი

სამი წელიწადი დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა და შედეგმაც არ დააყოვნა — აპარატი მზად არის.

— ახლა მთავარია მისი გამოცდა და მერე მე ვიცი, — ჩაილაპარაკა ჯიჭიკო დოლბაიამ და შრომით დაკანტულს ჯანმრთელი კაცის ძილით ჩაეძინა.

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ამ ხუთიოდე თვის წინათ მოხდა. ჯიჭიკო დოლბაიას ქარხანაში მეტსახელად „ვაი-მეცნიერს“ ეძახდნენ, და აი, ამ „ვაი-მეცნიერმა“ შექმნა უნიკალური, მსოფლიოში ერთადერთი აპარატი, რომელსაც ფართო გზა უნდა მისცემოდა ყველგან, განსაკუთრებით კი ჩვენთან, ამ გარდაქმნის გრანდიოზულობის პერიოდში.

ის ღამე ჯიჭიკომ როგორც იყო დიდი მოთმინებით გაიყარა და დილით ქარხნის ადგილკომს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ჯალაღონიას დაურეკა, თუ რა საუბარი ჰქონდათ ტელეფონით მეგობრებს, ეს ამ პატარა მოთხრობას არაფერს შესძენს, და ამიტომაც ჩვენც ეგ საუბარი შეგნებულად გამოვტოვეთ. ფაქტი ის არის, რომ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ბატონი გიორგი უკვე ჯიჭიკოს ოთახში გახლდათ და ხელში ეჭირა ხისა და პლასტმასისაგან გაკეთებული ჩვეულებრივი ქუდი, რომელშიც უამრავი წერილი მავთული და პატარა ნათურები იყო ჩასილაღებული.

— სულ კი არის? — სიფითრე გადაკრული ადგილკომის თავმჯდომარეს და ქუდს ხელში აბრიალებდა. — ეს არის სულ?

— აი, ამ მავთულს შტეფსელში ჩავრთავთ მა. შემდეგ, როცა კლიენტი ქუდს დაიხურავს.

— მერე?

—ქუდის წინა ნაწილში მოთავსებული ნათურები ინთება და გამოხტაკავს იმას, რისთვისაც თავდაუზოგავად ვიმუშავე ამდენი წელი.

—მე ოჯახამენეულო, თქვი და გაამთავე ბარემ!

— კი, ბატონო, — განაგრძო მეცნიერმა, — ამ ქუდის წინა მხარეს ოცდაცამეტი პატარა ნათურაა ჩამონტაჟებული.

— რატომ მაინცდამაინც ოცდაცამეტი, დენის გადასარჯვის არ გეშინია? — იუმორი შეპარა ჩუმად ბატონმა გიორგიმ.

ჯიჭიკომ ამ პატარა -ლირიკულ გადასვვეას ყურადღებაც არ მიაქცია და ნიშნის მოგებით მიმართა:

— ოცდაცამეტი იმიტომ, რომ ოცდაცამეტი ასოა ქართულში.

— მერე?

— მერე ეს ასოები წესის და რიგის მიხედვით ლაგდება, როცა აპარატი ჩაირთვება.

— ოო, მერე?

— მერე, აწი დამთავრდა, ჩემო გიორგი, ის მაიმუნობა და თვალთმაქცობა, აპარატი ყველას თავის სახელს არქმევს: ქურდს— ქურდის, გამომძალველს — გამომძალველის, სულელს — სულელის და ასე შემდეგ.

— კი მაგრამ, აპარატი თუ გამოსცადე ვინმეზე?

— კი. გამოვცადე და შეედგმაც არ დაააყოვნა,

— ვისზე გამოსცადე, თუ ძმა ხარ? — მუდარა შეეპარა ადგილკომს ხმაში.

— ჩემს ძაღლზე.

— მერე?

— მერე და მოხდა ის, რასაც მოველოდი, — ჯიჭიკო დოლბაიამ იქვე დივანზე ჩამოწოლილ პატარა ლამაზბუნვიან ძაღლს გადხედა და თითით თავისკენ მოიხმო.

პატრონის მიხმობაზე უცებ ბოლოტა ძაღლი და მუხლებზე აიცოცდა. ჯიჭიკომ ოთხფეხა მეგობარს ქუდი ფრთხილად დაახურა, ზონარი შტეფსელში ჩართო. ქუდის წინა ნაწილი აციმციმდა, შემდეგ კი ასოებიც გამოიკვეთა — „ერთგული“.

გაფითრებული გიორგი სკამზე უხიბყვოდ დაეშვა.

— როგორ მოგწონს?

— ფანტასტიკაა!... — წამოიძახა გიორგიმ და ჩაეკრძალა, — კი მაგრამ, — სასწრაფოდ გონს მოეკა ისევ, — ადამიანებზე გამოსცადე ჯერ?

— ადამიანებზე ჯერ არა.

— აბა, თუ ძმა ხარ, დაანებე თავი მაგ ამბავს, მეგობრულად გეუბნები.

— რას ამბობ, კაცო, როგორც იქნა ასეთი სიმდიდრე გვაქვს ხელში და ახლა, ამ გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში, როგორ არ გამოვიყენოთ. ვერ მიხვდი რომ, ბოლო ეღება ყველა რეკომენდაციებს და საერთოდ ყოველგვარ ბიროკრატებას წინასწარ ეხდება ფარდა?

— კი, ბატონო, ეს ყველფერი კარგია, მაგრამ ხომ უნდა გამოსცადო მაინც ადამიანზე?

— სწორი ხარ, ჩემო მეგობარო, და სწორედ ამიტომ გამოგიხმე დღეს დილიდან, რათა შენც გახდე მონაწილე ამ ისტორიული აპარატის უბეუარობისა. ასე რომ, ისტორია გაითვალისწინებს შენს თავგანწირვას.

— კაი თუ ძმა ხარ.

— ახლა მჭირდება მე მეგობარი და ნამდვილი ვაჟკაცი, — მუდარით უთხრა გამომგონებელმა.

— კი, ბატონო, მეგობარი ვარ ჩემს აღსარებას შენ გეუბნები, ჩემო ჯიჭიკო, აბა, შენ იცი, რა მსჯავრს გამომატან.

— მაშ მისმინე და არ შემაწყვეტინო. ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ, გახსოვს შენ კარგად, მე მაშინ ზეინლად ვმუშაობდი საწნეხ საამქროში. მერე ეს ჩვენი ახალი უფროსი მობრძანდა და მას შემდეგ ადგილკომის თავმჯდომარე ვარ და გემსახურებიდი ყველას. ახალი ცხრასართულიანი სახლი რომ აშენდა, გახსოვს კარგად.

— კი, როგორ არ მახსოვს, იმ ბინის მეშვიდე სართულზე არა ვართ ახლა?!

— ჰო, იმ სახლში ვართ, — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— მერე?

— რა მერე?

— რა და, სახლიო, რაღაცაო...

— ჰო, ბატონო, დამიძახა უფროსმა და მეუბნება: ჩემო გიორგი, ხომ იცი, რა ნვალებითა და ვაკეთი აშენდა ეს საცხოვრებელი ბინაო, ახლა გმართებს მთელი შენი ნიჭის გამოყენება, ხომ იცი, აქ ჩემთან იმიტომ გადმოგიყვანე რომ...

— მოკლედ მოჭერი #მოკლედ, მოკლედ.

— მოვჭრი ჩემო ჯიჭიკო, და... ითითო კაცზე ყველაზე კი არა, მაგრამ უმტკესობაზე, ათას-ათასი მანეთი ავიღეთ. კი იცი შენ, მე აგერ შენი და არც დიდი ვაჟკაცი მაინდადამაინც. მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— გისმენ!

— ეს ამბავი ჩვენში უნდა მოკვდეს.

— კი, ბატონო! აბა, თავი.

გიორგი ჯალაღონიამ სამოც წელს მიტანებული მოტკლეპალი თავი საჩუქარივით გაუწოდა გამომგონებელს. გამომგონებელმა თავისი კლეიენტი ნარკესთან მიიყვანა, აპარატი თავზე დაახურა და შტეფსელში ჩართო ზონარი, ქუდის წინა ნაწილი აციმციმდა. გიორგიმ თვალი დახუჭა.

— ვაშა! — გაისმა გამარჯვებული მეცნიერის ხმა, — ამას ველოდი!

— გიორგიმ ნელნელა თვალები გაახილა და სარკეში ჩაიხედა, სარკეში ასოები „ულუმა ოყო, მაგრამ, მაინც წაიკითხა — „გამომძალველი“ — ეწერა შუბლზე ადგილკომის თავმჯდომარეს.

— რა ვქნა ახლა მე? — ჩაილაპარაკა ბატონმა გიორგიმ და, რომ არ წაქცეულიყო, დივანზე ჩამოჯდა.

— ასეც ვიფიდი, გიორგი, და არც შევმდარვარ შენს შეფასებაში, — წარმოთქვა ჯიჭიკომ და ისიც სკამზე ჩამოჯდა.

— რას მერჩოდი, ბიჭო, — გონს მოეკო ადგილკომის თავმჯდომარე! — რა ვქნა ახლა?

— რა უნდა ქნა, ეს შენთვის ახალი ამბავი არ არის, კარგად იცოდი, ვინც იყავი. მე მეპარებოდა ეჯეი სხვათა და სხვათა ნაგზრეგზე შენს შესახებ, ახლა ეს ეჯვიდ გაქრა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა ვქნა ახლა მე?

— რა უნდა ქნა. აკი შეგპირდი, არსად არ გაგამზელ-მეთქი.

— მერე?

— რა მერე?

— ეს უშველის ჩემს საქმეს?

— აბა, მე რა ვქნა?

— რა ქნა? რა ქნა და მისმინე. მე ახლა პირველად ჩემს ცხოვრებაში მინდა სიმართლე ვთქვა, იმ ფულიდან ბევრი არაფერი მრგებია.

მაგრამ, აბა, ამდენი ფული სად წავიდა?

— უფროსმა თქვა, მე უნდა გავანაწილოო და, რა ვიცი მერე მე, ასე იყო.

— აბა, კი; ასე იყო. ავეჯზე, ავეჯი რომ მოვიდოდა ქარხანაში, მაშინ რას შერებოდით?

გიორგის ცივმა ოფლმა დასხა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა, მერე მოტკლეპილი თავიც მიაყოლა და საკარძელში ჩაეშვა.

— ავეჯზე და მანქანაზეც ასე იყო. მოკლედ, დანაშავე ვარ, მაგრამ მაიძულეს.

— ვინ გაიძულა?

— უფროსმა, ესე იგი...

— რა ესე იგი... კარგი, დაწყნარდი. ხვალ მე რაიკომის მდივანთან უნდა მევიდე, ის კაცი ზნფორმირებული მყავდა. ზოგი რამ იცის ამ ამარატისა. ისე მთლად მასაც არ სჯეროდა ასეთი საოცრებისა. ახლა, როდესაც ყველაფერი მზად არის, შემიძლია ვუპატაკო...

—ნუ იზამ მაგას ჯერ, — აჭარხლდა გიორგი.

— რატომ?

— უფროსს ვკითხოთ ჯერ და, მერე ვნახოთ.

— რომელ უფროსს — გამომძალველს და ქურდს?

— ჩუმად, რა იცი შენ?

— როგორ რა ვიცი, აგერ არ ჩამოყაჭე ყველფერი.

— კი, ბატონო, ასე იყო, მაგრამ რა იცი შენ, იმას რა დაეწერება. ნუ ჩქარობ, მიიქვამს შენთვის.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე გამოიძახეს ქარხანაში ამხანაგი მეცნიერი, ქარხნის დირექტორსა და გამომგონებელს შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

დირექტორი: ყოველთვის მჯეროდა და მწამდა შენი, მაგრამ ის, რაც ბატონმა გიორგიმ მითხრა, პირდაპირ სასწაულია. როგორ მიაღწიე ამს.

გამომგონებელი: კარგად მოგეხსენებათ, დაუძლეველი ქვეყანაზე არაფერია, თუ ყველანი საქმეს გულისყურით მოვეკიდებით.

დირექტორი: ეს მაინც ფანტასტიკაა!

გამომგონებელი: ეს რეალობაა დღეს. მე მგონია, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და აუცილებლად საჭიროა ცხოვრების საგზური მიეცეს აპარატ უნიკუმს, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არა აქვს არც ერთ ქვეყანას.

დირექტორი: აგაშენა ღმერთმა. ახლა ერთი თვე დასვენება არ გაგენებდა, ჩემო ძმაო. სად გირჩევნია საგზური გაგიკეთოთო, შენ თვითონ ბრძანე.

გამომგონებელი: არა, ბატონო, ახლა დასვენების დროა?! დრო ახლა უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რომ ქარხანა დაიგალოს ქურდების, გამომძალველების და უნამუსო მუშაკებისაგან.

დირექტორი: ეს როგორ?

გამომგონებელი: როგორ და უბრალოდ. ამ აპარატმა გამოიდან ეკვე წარმატებით ჩაუბარა. ახლა მოქმედების დროა დ...

დირექტორი: ვიცი მე, არ გიჯერებდნენ, ბევრმა გული დაგაწყვიტა მუშაობის პერიოდში. ხელფასსაც მტკიცე არა გქონდა, ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაფრით სავსე რომ ყოფილიყავი ცხოვრებაში, ასეთი წარმატებებიც არ გეგულინწინაც იყვნენ. შენ ქვეყანა მართლა დადუღული ხომ არ გგონია, პატიოსანი მეტია აბქვეყნად, ვინემ უპატიოსნო, მაგრამ საქმე ის არის, თქვენისთანა ხალხის ნამოქმედარი უფრო თვალსაჩინოა.

— კარგი რა, თუ ძმა ხარ, დავანებოთ ჩხუბს და დავდგარაბას თავი! — ხმას აუწია გიორგი ჯალაღონიამ.

— კი, ბატონო, დავანებოთ თავი, — დაუთმო გამომგონებელმა.

— მე დიმიტრი გიორგევიჩმა გამომგზავნა შენთან და, თუ ძმა ხარ, ბოლომდე მომისმინე, — გიორგი ჯალაღონია სავარძლეში მოკალთადა და თანამოსაუბრეს ანიშნა, რომ ისიც ახე მოქცეულიყო, — ჩემო ჯიჭიკო, გიორგიევიჩმა გთხოვა, ძალიან გთხოვა, ჯერჯერობით თავი შეიკავო ამ აპარატის გამოცდისაგან.

— რაო?

— მომისმენე, თუ კაცი ხარ, ახე შემოგთავალა, ყველა სურვილს შეავსურულებ, თუ ამკამად დამიჯერებს, მერე მაგის დროც მოვა და კი, ბატონო, გამოვცდოთო.

სიჩუმე ჩამოწვა ოთახში, მერე ჯიჭიკო წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა, მიხუცა, შემობრუნდა და მეგობარს ხელით ანიშნა, შეგიძლია წახვიდეო.

— მერე, რა პასუხით მგზავნი უფროსთან, — აღელდა გიორგი.

— უარყოფითით... — ჩაეღიმა მეცნიერს.

— არ მოვვლება ამ საქმეს? — ისევ აბუზღუნდა გიორგი.

— არა!

— მაშინ გიორგევიჩმა შემოგთავალა, გამომგზავნელმა აპარატის გამოცდა თავისი თავით დაიწყოსო. კარგად ბრძანდებოდეთ! —თქვა, დივანზე დგდებულ შლაპა ხელი ჩამოავლო და კარი გაიჯახუნა. შეებუნებული გამომგონებელი მარტო დარჩა.

— ღმერთო ჩემო, — შუბლზე ოფლმა დასხსა, — ღმერთო ჩემო, ეს რა ბრალეზანი ხარ, მართლაც, სამი წელია ამ აპარატს ვამზადებ და ერთხელაც არ მომსვლია აზრად ჩემს თავზე გამომეცადა. რა ვქნა ახლა? — სავარძელში ჩაეშვა, დაფიქრდა... — ჩემზე უფრო არ უჭირდათ ქლიბაძეებს, სამი სული გამოკეტილები იყვნენ ერთ ოთახიან ბინაში. მეზობელი რომ გარდაიცვალა, ოთხმოც წელს მიტანებული უსატრონო სიმონ ლაითაძე. თუმცა ჩემი კარი მის ოთახში გადიოდა და კანონით მე მეკუთვნოდა ის ბინა, მაგრამ, ხომ შემეძლო დამემთო ქლიბაძეებისათვის და მე კი მათი ოთახი დამეკავებინა. არ ვქენი. ან ჩვენი გარეიკ გამგე, ჩხუბი რომ აუტეხეს ხულიგნებმა, შიმით აცამეხებულა, მიკამოვე და გამოვიქეცი... რომ არ გამოვქეცულიყავი, შეიძლება ახლაც ეოცსალი ყოფილი... ყო... ფული რომ არ ვასესხე გრიგოლს? — წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, მაცივრიდან ეიეი ბორკოლი გამოიღო, დაისხა, დალია და ისევ ფიქრებს მიეცა. — გადაწყდა, უნდა გამოვცადო ჩემ თავზე! — ფარდები ჩამოუშვა, კარში გასაღები ერთხელ კიდევ გადაატრიალა, ოთახში შემობრუნდა და ხელების ცახცახით აპარატი თავზე დაიხურა, ზონარი შტეფსელში ჩართო და ქუდის წინა ნაწილიც აციმციმდა...

* * *

რამდენიმე კაცი მიაცილეზდა საფლავამდე გამომგონებელს. მერე, როგორც წესია, ქარხნის მუშებმა და ახლო მეგობრებმა პატარა ქელეხიც გადაუხადეს რესტორან „სამადლეში“ ჯიჭიკო დოლბაიას. საბოლოო სიტყვა ქარხნის დირექტორმა თქვა: ჩვენს რიგებს გამოაკლდა ნაზი ადამიანი, კაცური კაცი, მეგობარი, ეს დიდი დანაკლისია ჩვენი ქარხნისათვის, მაგრამ რას იზამთ, რას არ უშვრება კაცს ეს კლიმპასი...

ჯემალ ჩახავა.



Above: also at the New York University reunion were Drs. Mary Ellen Brademas (left) and Luba Shetsruit.

ამ სურათზე, რომელიც შორეულ ამერიკაში, სან-ანტონიოშია გადაღებული, წარმოდგენილია დერმატოლოგ ოგი, დოქტორი, **მერი ელენ ბრადემასი** — ამერიკელი კონგრესმენის ბრადემასის მეუღლე (ბრადემასი რამდენიმე წლის წინ ვიზიტად იყო სსრ კავშირში, იგი ხელმძღვანელობდა აქ ჩამოსულ კონგრესმენთა დელეგაციას) და ჩვენი თანამემამულე, კანისა და ვენერიოლეგიათა ინსტიტუტის დირექტორი ლუბა შეწირული.

საქმე ის არის, რომ შარშან გაზაფხულზე ამერიკის დერმატოლოგიური, მსოფლიოში ერთადერთი, აკადემიის პრეზიდენტმა ქართველ მეცნიერს ლუბა შეწირულს გამოუგზავნა ბარათი, რომლითაც სთხოვდა წარმოედგინა საბუთები, რომ შესაძლებლობა მისცემოდათ მისი აკადემიის წევრად არჩევისა.

საბუთების გაგზავნის შემდეგ მალე მოვიდა ცნობა-მოლოდინი, რომ იგი არჩეულია ამერიკის დერმატოლოგიური აკადემიის უცხოელ წევრად და მიწვეულია მის მორიგ სესიაზე დასასწრებად. აკადემია თავის სამეცნიერო სესიებს, ყოველწლიურად ამერიკის სხვადასხვა ქალაქში მართავს. შარშან იგი 5-10 დეკემბერს - მოიწყო ქალაქ სანანტონიოში და 7000 კაცი ესწრებოდა. სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს დოქტორი მერი ელენ ბრადემასი და ლუბა შეწირული. ეს სამახსოვრო სურათიც აკადემიის ორგანონ „დერმატოლოჯი ნიუსმა“ გამოაქვეყნა.

ინტერესს მოკლებული არ არის ის ამბავი, რომ აკადემიის ერთ-ერთმა წევრმა, ალბერტ ფარბერმა, რომელიც ადრე სტენფორდის უნივერსიტეტის (სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს ჯერჯ შეელი) დერმატოლოგიური კლინიკისა და კათედრის გამგედ მუშაობდა, ამგამად სტენფორდის ფსორიაზის ინსტიტუტის დირექტორია, და ლუბა შეწირულიც სწორედ თავისი ინსტიტუტის მუშაობის გასაგებად მიიწვია, რასაც ჩვენი მეცნიერი ხალისით დათანხმდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არც ამერიკის აკადემიაში ქართველი მეცნიერის (ერთადერთი და პირველი ხანგრძლივი კაშრიდან) უცხოელ წევრად არჩევა და არც მისი სტენფორდში მიწვევა შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა. ხაქმე ის არის, რომ ბოლო დროს მშვიდობის განმტკიცებასთან ერთად ფართო სარბიელი ეძლევა მეცნიერულ კონტაქტებს. ამერიკაში დაბეჭდილია ლუბა შეწირულის ნაშრომები, იცნობენ მისი ინსტიტუტის საქმიანობას, პატივს სცემენ მას, როგორც მეცნიერს. ამიტომ ბასაკვირი არ არის, რომ ლექციების წაკითხვაც სთხოვეს. ლუბა შეწირულმა ორი ლექცია წაიკითხა სტენფორდის ფსორიაზის ინსტიტუტში:

ჩვენმა თანამემამულემ ამერიკაში ორ კვირას დაპყო, გაეცნო მეცნიერების ახალ მიღწევებს, მიიღო ბევრი გამოსადეგი და საჭირო ინფორმაცია.

ასეთია ამ სურათთან დაკავშირებული მეცნიერის ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდი.

კონტაქტები

„ოგვეტაცა“ ქალი ამერიკელმა

ქალი — ეთერ ჭკადუა, თბილისის სამხატვრო აკადემიის მოწვეულტერი ფერწერის ფაკულტეტის დოცენტმანტ.

ეთერ — ქეთინ ტუიტი, ამერიკელი ქართველოლოგი.

ჩიკაგოს „ჩრდილო-დასავლეთის“ უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, ქეთინ ტუიტმა დეტროიტში დაიწყო ინეინრად მუშაობა. მაგრამ „ჩაუვარდა ხელი“ მთი არგონავტებზე. შეიტყო, რომ ზაეი ზღვის სანაპიროზე გაშლილიყო ქვეკანა ხაჭართველო, სადაც რეტნანსი მე-12 საუკუნეში დაიწყო და სადაც გენიალურმა ზოთა რუსთაველმა დაწერა „ვეფხისტყაოსანი“. და ამ გზამ, სწორედ ქეთინ ჩიკაგოს უნივერსიტეტში — ენათმეცნიერების ფაკულტეტზე მიიყვანა. იქ შეისწავლა ქართველური ენები, მორფოლოგია, სინტაკსი და ფსიქოლინგვისტიკა. 1958 წელს კი პირველად ჩამოვიდა თბილისში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრაზე შუქა ფურდონიძის, ნანი ბანიშვილისა და მერი ნიკოლაიფაზის ხელმძღვანელობით მიიკვლევდა გზას ქართული ზმნის ურთიულეს ლაბირინთებში. პირველად მაშინ შეხვდა უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგის, დოცენტ ამბაკო ჭკადუას სალაზარ ქალიშვილს...

მიჭნურთან ფიცით შეკრული დაბრუნდა ქეთინ ტუიტი ჩიკაგოში. პროფესორ ჰოვარდ არონსონის ხელმძღვანელობით დაწერა დისერტაცია თემაზე: „ოიცხუმი შეთანხმება ქართულ ენაში“. წლეულს 14 იანვარს დაუბარუნდა თბილისს. უნივერსიტეტის წაყვანმა სპეციალისტებმა — ზურაბ



სარჯველაძემ, ნანი ბანიშვილმა, გივი ნებიერიძემ, ბესიკ ჯორბენაძემ და ალეკსანდრე ონიანმა ორგანიზმში წაიკითხეს ამერიკელი ქართველოლოგის ადიხარტაკეთი ნაშრომი.

ეთერი უკვე აკადემიის ამოავრებს — მალე დიპლომს დაიცავს. არც ქეთინს დაუკარგავს უმჯობ დრო: პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე და დოცენტი ამბაკო ჭკადუა სვანურს ასწავლიან ქართველების სიძე-მეცნიერს.

ეთერი და ქეთინ გუშინ შეუღლდნენ.

ინტერვიუ

ლამარა თელია.

ბ. ვადაბაკურიას („კომუნისტი“) ფოტო.

სპორტი

ჭადრაკი

ბრიუსელში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპის შეჯიბრება. ბოლო ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი დუუზვდა ანდერსონს, 11 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დიაკეკა. წარმატებით იასპარეზა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, მოსკოველმა სალოვმ. მან საქმთან შეხვედრაში ნახევარი ქულა აიღო და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავდა — 10 ქულა (სალოვს, ისევე როგორც ანდერსონს, ბრიუსელში არც ერთი პარტია არ წუგეია).

ბოლო ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სოკოლოვმა დაამარცხა ვინანსონი, ლიუბოეიჩმა — ნანი, სეირეთანმა — ტალი, სპილმენი-ტიმანი, ნიკოლიჩი-ბელიავსკი და კორჩნოი-პორტიში დაბაჯდნენ.

9,5 — 9,5 ქულით მესამე — მეხუთე ადგილები გაიყვეს ბელიავსკემ, ლიუბოეიჩმა და ნანმ. შემდეგ მოდიან: პორტიში და ანდერსონი 9—9, სპილმენი — 8,5, სოკოლოვი — 8, ტიმანი, ნიკოლიჩი სეირეთანი და ტალი — 7,5, ნოგეირასი — 7, კორჩნოი — 6,5, სალეი — 6, ვინანსონი — 2,5.

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ვარშავის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირისათვის ემზადება, 27 აპრილს ჩეხოსლოვაკიაში შეხვდება ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს. ჩვენი ნაკრების მეწინააღმდეგეობა მოსამზადებელ შეკრებაზე 16 ფეხბურთელი მიიწვიეს: რ. დასაევი, ვ. ჩანთვი, ს. ბალტაჩა, ვ. ბესონოვი, ა. დემიანენკო, ო. კუზნეცოვი, ვ. სუქინოვი, თ. სულთანველაძე, ვ. ხიდიატულინი, ი. ბელაბოვი, ს. დიმიტრიევი, ა. ზაგაროვი, გ. ლატოვნენკო, ვ. ჯასულო, ო. პრტასოვი და ვ. რაკი.

27 აპრილს საბჭოთა ოლიმპიური გუნდი სიმფეროპოლში შესარჩევი ტურნირის მატჩს გამართავს ბულგარეთის ნაკრებთან. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ითამაშებს თბილისის დინამოელი გელა